№2749 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ იურისტების საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2015 წლის 8 ოქტომბრის წერილით დასმულ კითხვებზე საქართველოს სახელმწიფო პოზიციის მომზადების, ზეპირი მოსმენებისთვის მოწმეების შერჩევისა და აღნიშნულ მოწმეებთან დაკავშირებით, მოკლე ინფორმაციის მომზადების მიზნით, 2 უცხოელი იურისტის საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**